



ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

დაბა ქედა

N 82
24/08/2018

82-04-4-201808241515



ქედის მუნიციპალურ საკუთრებად რეგისტრირებული, დაბა ქედაში წერეთლის ქ.№12-ში მდებარე შენობა-ნაგებობაში (ს/კ 21.03.34.290) არსებული 10 ერთეული საცხოვრებელი ბინის, დაბა ქედაში რუსთაველის ქ.№24-ში მდებარე შენობა-ნაგებობაში (ს/კ 21.03.35.365) არსებული 9 ერთეული საცხოვრებელი ბინის და დაბა ქედაში რუსთაველის ქ.№15-ში მდებარე შენობა-ნაგებობაში (ს/კ 31.03.32.071) არსებული 3 ერთეული საცხოვრებელი ბინის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ

თვითმმართველი თემის - ქედის მუნიციპალიტეტის სახელზე საჯარო რეესტრში საკუთრების უფლებით რეგისტრირებულია, დაბა ქედაში წერეთლის ქ. №12-ში მდებარე შენობა-ნაგებობაში (ს/კ 21.03.34.290) არსებული 10 ერთეული საცხოვრებელი ბინა, დაბა ქედაში რუსთაველის ქ. №24-ში მდებარე შენობა-ნაგებობაში (ს/კ 21.03.35.365) არსებული 9 ერთეული საცხოვრებელი ბინა და დაბა ქედაში რუსთაველის ქ. №15-ში მდებარე შენობა-ნაგებობაში (ს/კ 21.03.32.071) არსებული 3 ერთეული საცხოვრებელი ბინა. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა 2018 წლის 17 აგვისტოს №976/02 წერილით ითხოვს აღნიშნული საცხოვრებელი ბინების, შემდგომში იქ მცხოვრები მოქალაქეებისათვის საკუთრების უფლების გადაცემის მიზნით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაცემას.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო მიზანშეწონილად მიიჩნევს ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დაბა ქედაში წერეთლის ქ. №12-ში მდებარე შენობა-ნაგებობაში (ს/კ 21.03.34.290) არსებული 10 ერთეული საცხოვრებელი ბინის, დაბა ქედაში რუსთაველის ქ. №24-ში მდებარე შენობა-ნაგებობაში (ს/კ 21.03.35.365) არსებული 9 ერთეული საცხოვრებელი ბინის და დაბა ქედაში რუსთაველის ქ. №15-ში მდებარე შენობა-ნაგებობაში (ს/კ 31.03.32.071) არსებული 3 ერთეული საცხოვრებელი ბინის უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის გადაცემას, რაც ხელს

შეუწყობს შემდგომში იქ მცხოვრები მოქალაქეებისათვის არსებულ ბინებზე საკუთრების რეგისტრაციას.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და 108-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაეცეს საჯარო რეესტრში ქედის მუნიციპალურ საკუთრებად რეგისტრირებული, დაბა ქედაში წერეთლის ქ. №12-ში მდებარე შენობა-ნაგებობაში (ს/კ 21.03.34.290) არსებული 10 ერთეული საცხოვრებელი ბინა, დაბა ქედაში რუსთაველის ქ. №24-ში მდებარე შენობა-ნაგებობაში (ს/კ 21.03.35.365) არსებული 9 ერთეული საცხოვრებელი ბინა და დაბა ქედაში რუსთაველის ქ. №15-ში მდებარე შენობა-ნაგებობაში (ს/კ 31.03.32.071) არსებული 3 ერთეული საცხოვრებელი ბინა, შემდგომში იქ მცხოვრები მოქალაქეებისათვის საკუთრების უფლების გადაცემის მიზნით.


2. ეთხოვოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას უზრუნველყოს წინამდებარე განკარგულების პირველი პუნქტით უსასყიდლოდ საკუთრების უფლებით გადაცემული ქონების საჯარო რეესტრში რეგისტრაცია და მისი მიღებისათვის საჭირო კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ღონისძიების გატარება.

3. განკარგულების დაინტერესებული მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

შუქრი თურმანიძე



საკრებულოს თავმჯდომარე

